საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2101/01
04/03/2022

2101-01-2-202203041734

შპს „ფუელ ინვესტმენტს“
მის: ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის
ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 5, ბინა 25 ელ.
ფოსტა: constructioninvest1@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 10 თებერვლის №2226 სკრინინგის განცხადება, რომლებიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მელექედურში ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ჩაშვება, ორკამერიანი წყალგამწმენდი სალექარის გავლით, დაგეგმილია საპორექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ სადრენაჟე არხში, რომელიც თავის მხრივ ჩაედინება მდ. ნატანებში. დაზუსტებას საჭიროებს როგორც სადრენაჟე არხში, ასევე მდინარე ნატანებში წყლის ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილ უნდა იქნეს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული სალექარის თაობაზე (ტიპი, ადგილმდებარეობა და სხვ.). ასევე, დოკუმენტაციაში დაზუსტებული უნდა იქნეს ჩამდინარე წყლის რაოდენობა და ხარსხი.
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მდ. ნატანები საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 105 მეტრთ. მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ზედაპირული წყლის ობიექტი საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია 400 მეტრით, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე არსებული გაფრქვევ(ებ)ის წყაროების, ასევე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მიწისზედა ნავთობპროდუქტების საცავის განთავსება. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ნავთობპროდუქტების საცავის გადახურვის საკითხი;

- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების, განთავსების და შემდგომი მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე